ისტორია (ქრესტომათია)

იმსა 2025 წელი

ირმა გიკაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქ. თბილისის 178-ე საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მენტორი მასწავლებელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული-პროფესორი

რუის -უბნისის კრების ძეგლისწერა (მუხლობრივი განხილვა) და ადამიანის უფლებები მეთორმეტე საუკუნის საქართველოში

დამატებითი საკითხავი მასალა ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებისათვის

დავით აღმაშენებლის უდიდეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს მისი თაოსნობით 1104 წელს მოწვეული საეკლესიო კრება, რომელიც ისტორიაში რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სახელით არის ცნობილი. ეს კრება დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმების პირველ მნიშვნელოვან და გარდამტეხ ნაბიჯადაა აღიარებული.

კრებას თავმჯდომარეობდა კათალიკოს -პატრიარქი, იოანე საფარელი. რუის -ურბნისის კრებაში მონაწიეობას იღებდნენ მეფის ,,მამად'' წოდებული გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და არსენ იყალთოელი.[1.179] კრებას ესწრებოდა ბიზანტიის იმპერიიდან საგანგებოდ მოწვეული დედოფალი -მართა-მარიამი, დავით აღმაშენებლის მამიდა .

რუის-ურბნისის კრებამ მიიღო მნიშვნელოვანი დადგენილებები, ე.წ. ძეგლიწერა, რომელსაც კანონის ძალა ჰქონდა.

კრების მოწვევის იდეა და ინიციატივა რომ დავითს ეკუთვნოდა, ამ მოსაზრებას

ადასტურებს ძეგლის სათაურიც : „ძეგლისწერაჲ წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრიბა ბრძანებითა და კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა, პირთათჳს რომელნი ქუემო მოჴსენიებულ არიან[2.53].

ქართველი მემატიანის გადმოცემით, კრების მოწვევას ბევრი მიზეზი ედო საფუძვლად: სამეფოს წინაშე იდგა ამოცანა — ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკიცების სამსახურში ჩაეყენებინა ეკლესია, აღმოეფხვრა ის დარღვევები, რასაც ქართულ ეკლესიაში ჰქონდა ადგილი. ამ აზრს კიდევ უფრო ამტკიცებს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებაც : ,, ხანგრძლივმა გამოცდილებამ მეფე დაარწმუნა, რომ საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ნაკლად იმდროინდელი საეკლესიო წესწყობილება იყო. რომლის წყალობითაც საქმე ისე დატრიალდა, რომ ,,უფროსნი საეპისკოპოსონი'',სამღვდელმთავროთა მომეტებული ნაწილი უღირს მამათ-მთავრებს ჩაუვარდათ ხელში''.[3.212].

განსაკუთრებით მძიმე იყო ღვთისმსახურთა მდგომარეობა: მათი დიდი ნაწილი ნაცვლად ერში ქადაგებისა და მათთვის ღირსეული მაგალითის მიცემისა, ყოველგვარ უკუღმართობაში იყვნენ ჩართულნი. დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ უღირსი ეპისკოპოსების გადაყენება ,,არა ადვილ იყო ესე ნათესავთა მათთა ძლიერებითა, იმიტომ, რომ უღირსი ეპისკოპოსები ,,მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით

მჯდომარენი სამღვდელთმთავრო საყდარზე, იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნა საყდრები''[3. 213]

დავით აღმაშენებელი კარგად აცნობიერებდა , რომ საეკლესი კრებაზე მიღებულ ხმაურიან გადაწყვეტილებებს და რადიკალურ ზომებს შესაძლოა არეულობა და უმართავი პროცესები მოჰყოლოდა ქვეყანაში. მეფე ყველაზე რთული სცენარისთვისაც მზად იყო: როგორც მემატიანე გადმოგვცემს, რუისისა და ურბნისის ტაძრებს , კრების მიმდინარეობის პროცესში, გარედან მეფის ჯარი იცავდა.

რუის-ურბნისის ძეგლისწერა კარგად არის შესწავლილი ივანე ჯავახიშვილის, ივანე სურგულაძის, ე. გაბიძაშვილის, კ.კეკელიძის და სხვათა მიერ.

ივ. ჯავახიშვილი ძეგლისწერას ჰყოფს ოთხ ნაწილად: 1. შესავალი, 2. დადგენილებანი, 3. დავითის შესხმა, 4. ცოცხლების მრავალჟამიერი და მიცვალებულთა საუკუნო ხსენება

კ.კეკელიძე კი ძეგლისწერას სამ ნაწილად ჰყოფს: 1. შესავალი, 2. კანონები, დადგენილებები, 3. სინოდიკონი.

მკვლევართა შორის განსხვავებული მოსაზრება არსებობს ძეგლიწერის მუხლების რაოდენობასთან დაკავშირებითაც. ერთი ნაწილის (კ. კეკელიძე) აზრით ძეგლისწერა 15 მუხლისაგან შედგება, მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ (ი. დოლიძე) ძეგლისწერა 16 მუხლს მოიცავს. ე. გაბიძაშვილი თავის მონოგრაფიაში კი ძეგლისწერაში 19 კანონს გამოჰყოფს [5.89]

რაც შეეხება კრების მდივანს, ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ კრების მდივანი და შესაძლოა ტექსტის ავტორიც, წმ. დავით მეფის თანამედროვე დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე არსენ იყალთოელი უნდა ყოფილიყო .

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გამოვკვეთოთ დავით აღმაშენებლის ძეგლისწერაში მთავარი მუხლები, რომლებიც ადამიანის უფლებების , ინდივიდის უფლებების, მათ შორის დავითის მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი სისტემის პრინციპების, თავისუფლებისა და ღირსების საკითხების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას . განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სამართლებრივი თანასწორობისა და მეფის მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების პრინციპებს.

2.1 რუის-ურბნისის კრების როგორც საკანონმდებლო აქტის მნიშვნელობის ისტორია და კულტურა (მუხლობრივი განხილვა)

მივყვეთ ძეგლისწერას და განვიხილოთ იგი მუხლობრივად ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში:

ძეგლისწერის პირველ მუხლში ვკითხულობთ: ,,განიკვეთენ უღირსი მღვდელმთავრები''. აქვეა განმარტებული, რომ ,,უღირსი არის ის ღვთისმსახური, რომელსაც ხორცი სულისთვის არ დაუთრგუნავს და არ არის შესაბამისი ასაკის მქონე [4.]

პირველი მუხლის შინაარსი ადასტურებს, რომ მეფისათვის მორალი და საეკლესიო პასუხისმგებლობა უპირველესი იყო. დავითს სწორედ საზოგადოების კეთილდრეობის დაცვისათვის სჭირდებოდა უღირსი მღვდელმთავრების განკვეთა და ღირსეულთა დასმა თანამდებობებზე.

ამ მუხლით მეფე მიისწრაფვოდა იქითკენ, რომ საეკლესიო თანამდებობებზე მოსული ადამიანები ყოფილიყვნენ მცოდნენი და გამოცდილნი, მაღალი ზნეობისა და შესაფერისი ასაკის, ღირსეული და პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნებები, რომლებიც საეკლესიო საზოგადოების უფლებებს დაიცავდნენ. ასეთი ადამიანები მისაბაძნი და ავტორიტეტულნი იქნებოდნენ საერო საზოგადოებისათვის, რაც მათ მიმართ ნდობას და თანადგომას განამტკიცებდა. ეს კი მრევლის კეთილგანწყობასა და ერთგულებას გაზრდიდა როგორც ეკლესიის, ასევე მეფის მიმართაც.

დავით აღმაშენებელი სწორად აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ უღირსი მღვდელმთავრების მოღვაწეობა არა მხოლოდ არღვევდა საეკლესიო წესრიგს, არამედ საფრთხეს უქმნიდა საზოგადოების იმ ნაწილის უფლებებს, რომლებსაც დიდი სამართლებრივი და ეთიკური მხარდაჭერის მოლოდინები ჰქონდათ ამ მღვდელმთავრებისაგან .

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პირველი მუხლის ამოქმედება აღმოფხვრიდა საეკლესიო მსახურებაში და საეკლესიო ინსტიტუციებში ისეთი მღვდელმთავრების მოღვაწეობას, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებოდნენ მაშინდელი საზოგადოების მიერ აღიარებულ ღირებულებებისა და უფლებების დაცვას. ყოველივე ეს კი უდაოდ აამაღლებდა საზოგადოების ნდობის შენარჩუნების ხარისხს საეკლესიო ავტორიტეტების მიმართ, რაც თავის მხრივ , ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს .

რაც შეეხება მეორე მუხლს:

ამ მუხლმა მოაწესრიგა ღვთისმსახურისათვის საჭირო ასაკი. კერძოდ:,, წიგნის მკითხველისთვის - 8 წელი, დიაკვნისთვის - 25, მღვდლისთვის - 30 და მღვდელმთავრისთვის - 35. ამ მუხლშივეა მითითებული, რომ ხელდასხმა უნდა ხდებოდეს თანმიმდევრობით, უმცირესიდან უპირატეს ხარისხზე.''[4.]

როგორც ჩანს, მეფისათვის და მასთან დაახლოებული სასულიერო წოდების წარმომადგენლებისათვის ასაკობრივი ცენზის დაცვა ღვთისმსახურებაში და ხელდასხმის პროცესის თანმიმდევრობა უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა ქართული ეკლესიის სტრუქტურისა და სწორად ფუნქციონირებისათვის.

ამ მუხლის მიხედვით რეფორმატორ მეფეს მიაჩნდა, რომ მღვდელთმსახური გარკვეულ გამოცდილებასა და სიბრძნეს დაუფლებული უნდა ყოფილიყო, რაც უზრუნველყოფდა

მასზე დაკისრებული მოვალეობების პასუხისმგებლობითა და მაღალი ხარისხით შესრულებას. ახალგაზრდა ასაკის მღვდელთმსახური კი ვერც სიბრძნით განჭვრეტდა და ვერც შესაბამის სულის სიმტკიცეს გამოიჩენდა გარკვეული საკითხების მიმართ.

ადამიანი, რომელიც მღვდელთმსახური უნდა გამხდარიყო მორალურად ძლიერი და სულიერად გამობრძმედილი უნდა ყოფილიყო, რაც მცირე ასაკში ძალიან რთული მისაღწევი იქნებოდა. ამას გარდა , მეორე მუხლი ავალდებულებდა მღვდელთმსახურს კარიერული წინსვლის ყველა საფეხური თანმიმდევრულად , შრომით და გარჯით გაევლო, რათა ხელდასმის თანმიმდევრული პროცესი არ დარღვეულიყო.

დავითი მასთან დაახლოებულ საეკლესიო პირებთან შეთანხმებით მოქმედებდა. განათლებულ მეფეს მიაჩნდა, რომ მიზნისკენ მიმავალი გზა უნდა ყოფილიყო ცოდნის და გამოცდილების გზა , ამავდროულად, მორალური და პასუხისმგებლობით აღსავსე გზაც, რაც საბოლოო ჯამში არგებდა ყველა სეგმენტს: მღვდელთმსახურს, ეკლესიას, სამეფოს და საზოგადოებას. ასეთი მიდგომები სამართლიანად იცავდა განათლებული და ჭეშმარიტი მღვდელმთავრების უფლებებს.

ამრიგად, მეორე მუხლში განსაზღვრული მღვდელთმსახურთა სავალდებულო ასაკობრივი მოთხოვნები, თანმიმდევრობა კარიერულ წინსვლაში , იურიდიული და ეთიკური პრინციპების დაცვის საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში.

ძალიან საყურადღებოა მეოთხე მუხლის შინაარსი, რომელიც ,, კრძალავს ღვთისმსახურის ხელდასხმას ქრთამით, საფასით ან ძღვენით. ‘’ [4]

ეს მუხლი ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკლესიური მორალის, არამედ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხითაც. მეფე ამ მუხლით ცდილობს მაშინდელ საზოგადოებაში დააფუძნოს გარკვეული ზნეობრივი პრინციპები და შექმნას სამართლიანობის დაცვის მექანიზმები.

საინტერესოა, როგორ უზრუნველყოფდა მეოთხე მუხლი ზნეობრივი პრინციპების დაცვას ?

ფაქტია, რომ დავით მეფე ეკლესიაში ქრთამის საშუალებით მიღებულ პოზიციას არათანმიმდევრულად, არაეთიკურად და ყოვლად მიუღებელად თვლიდა, რადგან ამ გზით - ქრთამის საშუალებით საეკლესიო მაღალ თანამდებობებზე ხელი მიუწვდებოდათ უზნეო და უპრინციპო მღვდელმთავრებს, რომლებიც ზიანს აყენებდნენ ეკლესიის ავტორიტეტს, საზოგადოებასა და ეკლესიას შორის უნდობლობას აღრმავებდნენ, ბევრ ღირსეულ საეკლესიო მოღვაწეთა ავტორიტეტს ჩრდილს აყენებდნენ, ასევე ლახავდნენ მათ უფლებებს უაზრო და უკანონო მოქმედებების შედეგად. ასეთი მღვდელმთავრები განსაკუთრებით საშიშები იყვნენ იმდროინდელი საზოგადოებისათვის, რადგან შუა საუკუნეების საქართველოში განუზომელი იყო მათი ავტორიტეტის გავლენა ხალხის მასებზე. მექრთამე ღვთისმსახური, რომლის ძირითად

საქმიანობას წარმოადგენდა საჩუქრების ან ქრთამის მიღება, რომელიც ყველაზე წინ საკუთარ ინტერესებს აყენებდა, ანადგურებდა ეკლესიის პასუხისმგებლობას და ავტორიტეტს საეკლესიო საზოგადოების წინაშე . ცხადია, ასეთი ურთიერთობები ზიანის მომტანი იყო როგორც საეკლესიო, ასევე საერო საზოგადოებისა და ცალკეული პირების უფლებების თვალსაზრისით.

ასე , რომ მეოთხე მუხლი, რომელიც შეეხებოდა ღვთისმსახურთა ხელდასმის პროცესს, იყო სამართლიანობის დაცვის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი და ზნეობრივი, რომელიც უზრუნველყოფდა კომპეტენტური და დამსახურებული ადამიანების მოსვლას ეკლესიაში, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ღვთისმსახურთა ავტორიტეტის ამაღლებითა და პროფესიონალიზმით საზოგადოების გაჯანსაღებას.

ყურადსაღებია ივ. ჯავახიშვილის აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. მეცნიერი დავით მეოთხის გადაწყვეტილებას ასე აფასებდა: ,,იმ რთულ პერიოდში ეკლესია უნდა ყოფილიყო სულიერების და ეთიკის მაგალითი, რომ მსგავსი ქმედებები, როგორიცაა ქრთამი, ხელს უწყობდა არაკეთილსინდისიერი ადამიანების როლის გაძლიერებას სასულიერო ორგანოებში. ეს კი ხელს შეუშლიდა ეკლესიის ავტორიტეტისა და ნდობის შენარჩუნებას . დავითმა უღირსი მღვდელმთავართა გადაყენებით გვარიშვილობა ეკლესიის მსახურთათვის უარჰყო, ხოლო პირადს ღირსებას შესაფერისის პატივი და უფლება მიანიჭა, ამგვარად რუის-ურბნისის კრებამ განახორციელა და დააკანონა ის, რასაც ორმოცი წლის წინათ ჰქადაგებდა ჩვენი შესანიშნავი მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი[2.213]

ამ მუხლის აუცილებლობა არა მარტო ზნეობრივი წესების დაცვაში, არამედ საზოგადოების ფუნდამენტურ უფლებებზე და სულიერ კეთილდღეობაზეც იყო გათვლილი.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეოთხე მუხლი წარმოადგენს არა მხოლოდ კანონიერ მოთხოვნას, არამედ ეთიკურ და მორალურ ჩარჩოს, რომლის პრაქტიკაში განხორციელება მომავალში გააჯანსაღებდა საზოგადოების ინტერესებს და დამოკიდებულებას, გაზრდიდა ნდობას და აამაღლებდა სულიერების ხარისხს ეკლესიის მიმართ. . ასეთი მიდგომა არა მარტო ეკლესიური წესების დაცვას მოემსახურებოდა, არამედ ცალკეული ადამიანების უფლებების და ღირსების პატივისცემასაც გაზრდიდა ეკლესიის მიმართ. ამ მუხლის აუცილებლობა საზოგადოების ფუნდამენტურ უფლებებზე და სულიერ კეთილდღეობაზეც იყო გათვლილი.

განვიხილოთ მეხუთე მუხლი. ამ მუხლში მითითებულია, რომ ,, ეკლესიის ქონება და ჭურჭელი, ნაყიდი იქნება ეს თუ შემოწირული, უნდა იქნეს მოხმარებული მხოლოდ საჭიროების მიხედვით და ძეგლისწერით მისი გასხვისება, თვით ტყვეთა გამოსყიდვის მიზნითაც კი სასტიკად აიკრძალა''[4]

მოდით , რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში ჩამოყალიბებული ეს წესი კონკრეტულად იმ დროის სოციალური და ეთიკური კონტექსტით განვიხილოთ. მაშინ, როდესაც საეკლესიის ქონება, განსაკუთრებით ჭურჭელი, რომელიც უდიდესი ღირებულების მქონე საგანძურად ითვლებოდა, საეკლესიო და არქიტექტურული შედევრები, უამრავი სიწმინდე, რომელსაც ეკლესია და სახელმწიფო განსაკუთრებულად ეპყრობოდა, ხშირად გამოყენებული იყო არა მხოლოდ რელიგიური მიზნებისთვის, არამედ სხვადასხვა კომერციული საქმეებისთვისაც. მღვდელმთავართა მიერ საეკლესიო ქონების გაყიდვა, გაცვლა, მისაკუთრება, არადანიშნულებისამებრ გამოყენება აკნინებდა ამ სასულიერო პირებს საზოგადოების თვალში , დანიშნულებასა და ფასს უკარგავდა საეკლესიო ნივთებს, ანიავებდა საეკლესიო ქონებას, რომელიც ხშირად ფასდაუდებელ საუნჯეს წარმოადგენდა, აკნინებდა თვით ეკლესიასაც, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუციას სახელმწიფოში.

მეხუთე მუხლი უზრუნველყოფდა, რომ ეს ქონება არ გამოყენებულიყო, როგორც კომერციული სასარგებლო ინსტრუმენტი, თუნდაც ტყვედ ჩავარდნილი ადამიანების გამოსახსნელად.

განსაკუთრებით მკაცრი რეგულაცია ტყვეთა გამოსყიდვის საკითხზე სავარაუდოდ დაკავშირებული უნდა ყოფილი იმასთან, რომ ამ მუხლით ეკლესიას უნდა შეენარჩუნებინა თავისი განსაკუთრებული როლი, როგორც ხალხზე ზრუნვის და დახმარების , ასევე სტაბილურობის გარანტიის მქონე ინსტიტუციის.

ამრიგად, მეხუთე მუხლი დაიცავდა საეკლესიო ქონებას, ეკლესიის ავტორიტეს, მორწმუნე საზოგადოებას განუმტკიცებდა ეკლესიისადმი ნდობასა და რწმენას, გადაარჩენდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, რომელიც თაობიდან თაობას უნდა გადასცემოდა.

მეხუთე მუხლიდან შეიძლება გამოვკვეთოთ ადამიანის უფლებებზე ზრუნვის სურვილი, თუმცა უფრო ფართო სოციალურ და კულტურულ ჭრილში, რადგან, ეკლესიის ქონების მართვას და რეგულაციას, მათ შორის ჭურჭლის და ქონების გასხვისების აკრძალვას, პირდაპირი კავშირი აქვს იმ ხანაში არსებულ სოციალურ და კულტურულ სტრუქტურებთან.

ისმის კითხვა : მეთორმეტე საუკუნის საქართველოში, ამ მუხლის ამოქმედება , გარდა იმისა რომ მეფის ხელისუფლებას გააძლიერებდა, კიდევ რას შეუწყობდა ხელს?

ეს მუხლი განამტკიცებდა დავითის საქართველოს სოციალურ სტაბილურობას: ყველასათვის ცნობილია, რომ მაშინდელი საზოგადოება ეკლესიის უდიდეს გავლენას განიცდიდადა, როგორც ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუციის. ეკლესია უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ეკლესიის ქონებისადმი უდიერად მოპყრობა და კომერციული

მიზნებისთვის გამოყენება კი აუცილებლად გამოიწვევდა საზოგადოების თვალში ამ ინსტიტუციის ავტორიტეტის დაკნინებას.

ამ მუხლს ჰქონდა უდიდესი კულტურული მნიშვნელობაც: შუა საუკუნეების საქართველოში, ეკლესია იყო არა მხოლოდ რელიგიური, არამედ კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი. მართლმადიდებლური ეკლესია ფლობდა ქონებას არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვარგარეთაც. ეს ქონება კი ატარებდა ღრმა სიმბოლურ, საკრალურ და კულტურულ მნიშვნელობას. მისი გაყიდვა შეიძლება აღქმული ყოფილიყო, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დათმობა. საეკლესიო ქონებით ვაჭრობა- ერთ-ერთი მძიმე მანკიერი მოვლენა, მაშინდელი საზოგადოების სამართლიანი გულისტკივილისა და აღშფოთების მიზეზი იქნებოდა. ეკლესიის ქონების გასხვისების აკრძალვა კი ქრისტიანი საზოგადოების მადლიერებას გამოიწვევდა, გაიზრდებოდა მათი რწმენა ეკლესიისადმი, რაც ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

ამრიგად, დავით აღმაშენებელი , როგორც უბადლო პოლიტიკოსი და გონიერი რეფორმატორი , ეკლესიის ქონების მართვითა და კონტროლით შესანიშნავად შეძლებდა ეკლესიაზე სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენის ზრდას და ქვეყნის სტაბილურად განვითარებას, როგორც სოციალური და კულტურული მიმართულებით, ასევე ადამიანის უფლებების კუთხითაც . ეს მუხლი მკაფიოდ ავლენს რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეფე ეკლესიის ინსტიტუციური ავტორიტეტის გავლენას იმ პერიოდის საზოგადოებაზე.

ძეგლისწერის **მეექვსე და მეშვიდე** მუხლების მიხედვით, დადგინდა, რომ ,,ქორწინება, მონათვლა და მონაზვნად განწესება უნდა მოხდეს მხოლოდ ეკლესიის მიერ განსაზღვრული წესით. აქვეა აღნიშნული, რომ ქორწინება უნდა შესრულდეს ეკლესიაში და შესაძლებელია მხოლოდ ორჯერ, ე.ი. ადამიანს ორჯერ ჰქონდა ქორწინების უფლება. მეშვიდე მუხლმა დაადგინა მექორწილეთა ასაკი, კერძოდ 12 წელი. აიკრძალა მცირეწლოვანთა ჯვრისწერა.''[3]

ძეგლისწერის აღნიშნული მუხლები ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში უდაოდ საინტერესო ასპექტებს ეხება.

ძეგლისწერაში ქორწინების მინიმალური ასაკის ზრდა 9-დან 12 წლამდე ცხადია, მეტყველებს იმ ფაქტზე , რომ მაშინდელ საზოგადოებაში მომხდარია გარკვეული ნორმებისა და ღირებულებების მიმართ დამოკიდებულების შეცვლა .

ამ საკითხთან დაკავშირებით ე. გაბიძაშვილი თავის მონოგრაფიაში წერს: ,, სამოქალაქო პირთა ქორწინება წარმოადგენდა დასაქორწინებელ პირთა მშობლების მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის გარიგებას და თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ქორწინებაში შემავალ პირთა სურვილებს. ეს სურათი ჩვეულებრივი მოვლენა იყო

ფეოდალური საზოგადოებისათვის და საქართველოც არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენდა'' [5.123]

ჩვენი აზრით, ეს ცვლილება შეიძლება აიხსნას რამდენიმე მიზეზით, კერძოდ: ქორწინების ასაკის გაზრდაზე შესაძლოა გავლენა იქონია სხვადასხვა სოციალურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა, როგორიცაა მშვიდობა ქვეყანაში და ეკონომიკური სტაბილურობა (გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ 1198 წლიდან დავითი თურქ-სელჩუკებს ხარკს აღარ უხდის) . საქორწინო ასაკის მატება ასევე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფო გარკვეულწილად ზრუნავს ინდივიდების - განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალების კეთილდღეობაზე, მათ აძლევს საშუალებას ფიზიკურად და ემოციურად უკეთესად მომზადებულები შეხვდნენ ოჯახის შექმნას, ახალი თაობის ჯანმრთელობაზე და განვითარებაზე მეტად ხარისხიანად იზრუნონ.

რელიგიურ ან სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული ეს სოციალური ცვლილებები დადებითად იმოქმედებდა საზოგადოების განვითარებაზე და მის კეთილდღეობაზე , ახალგაზრდა ქალების დაცულობის აუცილებლობის აღიარებისაკენ უბიძგებდა მათ ოჯახებს, ისინი ვალდებულნი გახდებოდნენ დაეცვათ კანონი და აღარ გაეთხოვებინათ 9 წლის ბავშვები. რადგან ეს რეფორმები ეკლესიის სახელით უნდა გატარებულიყო, ამ ინსტიტუტის გავლენას და ავტორიტეტს კიდევ უფრო გაზრდიდა მაშინდელი საზოგადოების თვალში. რაც ძალიან სჭირდებოდა დავით მეოთხეს. მართალია ეს მუხლი სრულად ვერ მოაწესრიგებდა ამ სფეროში არსებულ ხარვეზებს, მიუხედავად ამისა ეს ცვლილება უდაოდ წარმოადგენდა პროგრესულ, წინგადადგმულ ნაბიჯს ფეოდალური საქართველოს სამართლებრივ ისტორიაში, სადაც თვალნათლივ ჩანს რომ სახელმწიფო იღებდა სოციალურ პასუხისმგებლობას ახალგაზრდების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მართალია, ძეგლისწერის ზოგადი პრინციპები სრულიად არ შეესაბამება თანამედროვე ადამიანის უფლებების სტანდარტებს. მაგრამ, თუ კი მათ შევადარებთ იგივე პერიოდის ,შუა საუკუნეების ევროპული სამართლის ნორმებს, მივხვდებით, რომ ძეგლისწერის მუხლები საკმაოდ პროგრესულად ჩანს და სულაც არ ჩამოუვარდება იმავე პერიოდის საფრანგეთის და ინგლისის კანონებს, რომელიც ასევე ქორწინების პრაქტიკის რეგულირებას ეხება. პირიქით, ჩამოუვარდება კი არა , ამ სფეროში განხორციელებულ რეფორმებს ფეხდაფეხ მიჰყვება . მაგალითისათვის, გავიხსენოთ ფრანგი მეფე - ლუი მეექვსე კაპეტინგი (1108-1137) , რომლის მმართველობა ჰგავს კიდეც დავით აღმაშენებლის მმართველობას. [5] ორივე მეფე თითქმის ერთ პერიოდში მართავდა ქვეყანას. ორივე მეფე კარგად აცნობიერებდა რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პატრიოტიზმსა და სარწმუნოების დაცვას ქვეყნის ძლიერებისათვის, ორივე მეფე მკაცრად უსწორდებოდა ურჩ ფეოდალებს, არ პატიობდა ეკლესიების ძარცვას, ორივე მეფე იყო საკუთარი ქვეყნის გამაერთიანებელი, ორივეს ჰყავდა უერთგულესი მრჩეველი, სასულიერო წრის წარმომადგენელი -ბერი, რომელსაც , როგორც საკუთარ მამას და ძმას ისე ენდობოდა. ორივე მეფემ ერთნაირი დებულება შეიმუშავა ქორწინების მინიმალურ

ასაკთან დაკავშირებით - 12 წელი გოგონებისთვის და 14 წელი ვაჟებისათვის (დავითმა 16 წელი ვაჟებისათვის), რამაც დიდი გავლენა მოახდინა ქორწინებაში თანხმობასა და კავშირის განმტკიცების მნიშვნელობაზე , რამაც ხელი შეუწყო ქორწინების, როგორც სოციალური ინსტიტუტის ლეგიტიმაციას.

ამ კუთხით, ასევე ძალიან საინტერესოა ინგლისის მეფის , ჰენრი მეორე პლანტაგენეტის მოღვაწეობა (1154-1189). ქრონოლოგიურად ჰენრი მეორის მმართველობაც სულ მცირე დროით არის აცდენილი დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდს.

ჰენრი მეორის სახელთან დაკავშირებულია კანონთა კრებულის გამოცემა, რომელიც ,,კლარენდონის კონსტიტუციის'' სახელითაა ცნობილი (1164წ)

ინგლისის მეფის კანონთა კრებული ძალიან წააგავს დავით აღმაშენებლის ძეგლისდებას. ორივე საკანონმდებლო აქტის უპირველესი მიზნი იყო „კრიმინალი სასულიერო პირების“ ან ისეთი სასულიერო პირების არსებობის პრობლემების გადაჭრა, რომლებმაც სერიოზული დანაშაულები ჩაიდინეს'' [7], ორივე მონარქი ამ კანონების ცხოვრებაში გატარებით ფიქრობდა , რომ არსებულ პრობლემასაც მოაგვარებდა და ამავე დროს საკუთარ ძალაუფლებასაც გაზრდიდა ეკლესიაზე.

,,კლარენდონის კონსტიტუცია" ბევრ სხვა საკითხებთან ერთად, ადგენდა საქორწინო ასაკს ახალგაზრდებს შორის. ქორწინების მინიმალური ასაკი დაწესებული იყო 12 წელი გოგონებისთვის და 14 წელი ვაჟებისათვის.

ისევე, როგორ ძეგლისდებაში, აქაც გოგონათა გათხოვების მინიმალური ასაკი 12 წელია. შეიძლება ითქვას, რომ დავითის გადაწყვეტილება, რომელიც მან საეკლესიო პირებთან შეთანხმებით მიიღო, ამ კუთხით სრულ თანხვედრაშია ევროპული სახელმწიფოების მონარქთა რეგულაციებთან. ასე რომ, დავითი თავისი რეფორმებით არა თუ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, არამედ წინ უსწრებდა კიდეც თავისი დროის ფრანგ და ინგლისელ მეფეებს.

დასკვნის სახით , შეიძლება ვთქვათ, რომ ეს მუხლი ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მართლაც საყურადრებოა, რადგან ახალგაზრდების ინტერესებს იცავს და უზრუნველყოფს, რომ ისინი შედარებით მომზადებულები შეხვედროდნენ ოჯახურ პასუხისმგებლობას.

ადამიანისა და საზოგადოების უფლებების დაცვის კუთხით ძალიან საყურადრებოა ძეგლისდების მერვე მუხლი.

ძეგლისდების მერვე მუხლი ეხება შემდეგ საკითხს:,, მღვდელმთავრებად უნდა შეირჩენ ეკლესიის ის მსახურნი, რომელნიც გათვითცნობიერებულნი არიან საქრისტიანო წესებში, ანუ როგორც „საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის

დებულებაშია“ მითითებული , უნდა ჰქონდეს შესაფერისი საღვთისმეტყველო განათლება’’ [4]

ნათლად ჩანს, რომ ამ მუხლის მიღებით, დავით აღმაშენებელს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საეკლესიო საქმიანობას უნდა ჩამოშორებოდნენ არა მარტო მოღალატე და მექრთამე მღვდელმთავრები, არამედ შესაფერისი განათლების არმქონენიც. ივანე ჯავახიშვილის აზრით ,,ეს წესი სასწრაფო მისაღები იყო , რადგან იგი ეკლესიისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც მეტად მავნებლობას წარმოადგენდა’’.[3.212]

მღვდელმთავრებად უნდა შერჩეულიყვნენ განათლებული სასულიერო წრის წარმომადგენლები. განათლებული და მცოდნე მღვდელმთავრების შერჩევა თანამდებობაზე, რა თქმა უნდა დაეხმარებოდა საეკლესიო საზოგადოებას და ზოგადად ხალხს სულიერ გაჯანსარებაში. გამოცდილი საეკლესიო მოღვაწეები უკეთ შეძლებდნენ, რომ გააზრებული და ეთიკური გადაწყვეტილებები მიიღოთ, რაც საბოლოოდ დადებითად აისახებოდა ხალხის სულიერ და სოციალური ცხოვრებაზე.

განათლებული მღვდელმთავრები, ცხადია, მეტი პასუხისმგებლობით და უფრო მართებულად მიაწოდებდნენ საზოგადოებას ქრისტიანული სწავლების წესებს და სულიერადაც სწორად მართავდნენ მათ. განათლებული მღვდელმთავრები პასუხისმგებლობას აიღებდნენ არა მხოლოდ რელიგიურ საკითხებზე, არამედ მორალურ საკითხებზე, რაც საზოგადოებას სამართლიანობის შეგრძნებას გაუზრდიდა და განუმტკიცებდა ეკლესიასთან კავშირს. ეს მუხლი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მეფე ეკლესიის საშუალებით ზრუნავდა მოსახლეობის ინტერესებზე.
ამავდროულად, მღვდელმთავრების სწორად შერჩევის პროცესი, სადაც ყურადღება მიექცეოდა მათ განათლებას და გამოცდილებას, სამომავლოდ შექმნიდა ისეთ სისტემათა მექანიზმს, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობასა და გაჯანსაღებას შეუწყობდა ხელს. შესაფერისი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი საეკლესიო მოღვაწე უკეთ და ეფექტურად შეძლებდა ხალხის მართვასაც და მათი ინტერესების დაცვასაც.

ამრიგად, მერვე მუხლი არა მხოლოდ ეკლესიის ორგანიზმის გაჯანსაღებისათვის და განმტკიცებისათვის იყო შექმნილი, არამედ პასუხისმგებლობის დაკისრება იყო ეკლესიისათვის, , თუ როგორ უნდა მომსახურებოდა ეს ინსტიტუტი საზოგადოებას, რაც საბოლოო ჯამში, ვფიქრობთ, ხალხის უფლებებისა და კეთილდღეობის დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვნი წინგადადგმული ნაბიჯი იყო .

რაც შეეხება ძეგლისწერის მეათე მუხლს. ეს მუხლი ,, კრძალავს მონასტერში ერისკაცთა მიერ ვაჭრობას, ასევე მონასტრის ტერიტორიაზე არასაეკლესიო მიზნით შეკრებას, ვინაიდან მონასტერი არის ღვთის ტაძარი სამლოცველო სახლი და ბერულ წმიდა ცხოვრებას უწესობა, არ შეშვენის.’’[4]

აღნიშნული მუხლი, ჩვენი აზრით, ადამიანის უფლებების კონტექსტში რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს შეიცავს:

თუ კი მონასტერს განვიხილავთ, როგორც ღვთის ტაძარს და სულიერ თავშესაფარს, სადაც ადამიანი ცდილობს იპოვოს სულიერი სიმშვიდე, მაშინ მონასტრის ტერიტორიაზე ყოველგვარი კომერციული საქმიანობის აკრძალვა ნათლად ცხადყოფს იმას, რომ აღნიშნული მუხლი ზრუნავს მონაზვნების და მომლოცველების , როგორც ცალკეული ინდივიდების, ასევე სრულად საეკლესიო საზოგადოების სულიერ კეთილდღეობაზე და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებაზე.

მაშასადამე, ეს მუხლი გარანტი იყო იმისა, რომ მონასტერში მცხოვრები რელიგიური ადამიანი თავისუფლად და მშვიდად იმოღვაწევებდა , პირნათლად შესრულებდა თავის მოვალეობას ღმერთისა და მრევლის წინაშე ყოველგვარი საცდუნებლის გარეშე. ვაჭრობა და კომერციული საქმიანობა კი სრულიად გამოიდევნებოდა მონასტრიდან, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ასევე იმ ადამიანების უფლებების დაცვას შეუწყობდა ხელს, რომელთათვისაც მონასტერი მართლაც წარმოადგენდა სულიერ საჭიროებას, ეს კი ეკლესიის, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტის როლის და გავლენის გაზრდას შეუწყობდა ხელს..

მეთოთხმეტე მუხლით დაუშვებლად გამოცხადდა წარმომადგენლობითი ქორწინება, ანუ როგორც ძეგლისწერაშია მითითებული „კურთხევა გ რგ ნისა კიდის-კიდე“. ასეთი ქორწინების დროს მომავალი მეუღლეები სხვადასხვა ეკლესიებში იწერდნენ ჯვარს ერთსადაიმავე დროს. ხოლო ადგილზე მათ ნაცვლად წარმომადგენლები იყვნენ. მუხლში მითითებულია, რომ ჯვრისწერა არის ერთ-ერთი წმიდა საიდუმლო და არა რაღაც ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება წარმომადგენლების მეშვეობითაც გაფორმდეს.’’[4]

მეთოთხმეტე მუხლი, რომელიც კრძალავს წარმომადგენლობით ქორწინებას მართლაც საინტერესოა ადამიანის უფლებების კუთხით.

ამ მუხლით, პარტნიორებს ეძლეოდათ ინდივიდუალური და გულწრფელი არჩევანის თავისუფლება, სადაც ქალსაც და მამაკაცსაც , ფიზიკურად , გვერდიგვერდ დგომით უნდა მიეღოთ მონაწილეობა ჯვრისწერისა და ქორწინების რიტუალში და არა სხვადასხვა ეკლესიებში დგომით.

ამ მუხლის თანახმად, ქორწინების დროს , როგორც წმინდა საიდუმლოს დროს, წყვილებმა უნდა გააკეთონ ინდივიდუალური და გულწრფელი არჩევანი, რომელშიც ორივე პარტნიორი აქტიურად მიიღებს მონაწილეობას. წარმომადგენლობითი ქორწინების დროს კი ერთ-ერთი პარტნიორი მოკლებულია ამ უფლებას , რაც ზღუდავს მისი არჩევანის თავისუფლებას.

მეთოთხმეტე მუხლი პარტნიორებს სულიერ და ეთიკურ პასუხისმგებლობასაც აკისრებდა. რადგან ჯვრისწერა ღვთიური წესების დაცვით უნდა მომხდარიყო, აღნიშნული მუხლი წყვილს ავალდებულებდა მათი სულიერი და მორალური მდგომარეობა ჯვრისწერის დროს თვალსაჩინო ყოფილიყო. წარმომადგენლობითი ქორწინების შემთხვევაში, კი ჯვრისწერა არ იქნებოდა სრულფასოვანი და შესაძლოა გაჩენილიყო ეჭვი, რომ ერთმანეთის მიმართ წყვილებს პასუხისმგებლობის შეგრძნება ნაკლებად მყარი ან საერთოდ არ გააჩნდათ.

ამ მუხლით საბოლოოდ უქმდებოდა ქორწინების ყოვლად მანკიერი და მახინჯი ფორმა, როცა გარკვეული ქრთამის და ბინძური გარიგებების შედეგად უმრავლეს შემთხვევაში ფეხქვეშ ითელებოდა ადამიანების (უმეტეს შემთხვევაში ქალების!) ფუნდამენტური უფლებები.

ჩვენი აზრით, მეთოთხმეტე მუხლი შეიძლება ჩაითვალოს ძეგლისწერის გვირგვინად. მუხლში ხაზგასმულია, რომ ქორწინება არ არის მხოლოდ ხელშეკრულება, არამედ იგი ღვთიური საიდუმლოა. რომ ქორწინება ამიერდან ყოველთვის უნდა იყოს მორალურად და ეთიკურად მაღალ დონეზე ორგანიზებული, რაც წყვილების ინტერესების და უფლებების დაცვას მოემსახურება.

ამ მუხლმა დაგმო წარმომადგენლობითი ქორწინება, როგორც დრომოჭმული, საზოგადოებისა და ეკლესიისათვის მიუღებელი ფორმა, რომელიც აზიანებდა არა მარტო პარტნიორთა ურთიერთობებს და მართლადიდებლური ოჯახის სიმტკიცეს, არამედ ქორწინების საიდუმლოსაც.

ამრიგად, ძეგლისწერის მეთოთხმეტე მუხლი დავით აღმაშენებლის სამეფოში საბოლოოდ და პრინციპულად ამკვიდრებდა იმ აქტს, რომ ქორწინება უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ ოფიციალური, არამედ სულიერი და ეთიკური მნიშვნელობის აქტი, რაც წყვილების უფლებების დაცვას ემსახურებოდა .

შეიძლება დავასკვნათ რომ, რუის-ურბნისის კრება მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო, რომელმაც დიდი როლი ითამაშა თავისი დროის სამართლებრივი და სოციალური ნორმების ჩამოყალიბებაში, მეფის ხელისუფლების განმტკიცებაში. კრებაზე სოციალური სამართლიანობისა და ინდივიდუალური უფლებების საკითხების განხილვა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც თანასწორობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში ზოგიერთი თანამედროვე იდეების წინამორბედი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენები პირდაპირ არ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებათა თანამედროვე კონცეფციებთან, მათი გავლენა სამართლებრივ ტრადიციებსა და მართლმსაჯულების სისტემაზე არ შეიძლება შეფასების მიღმა დარჩეს.

ირმა გიკაშვილი

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ივ სურგულაძე, ,,ქართული სამართლის ისტორიის წყაროები'', თბ, 2000
2. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ VI, თბ., 1982.
3. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ II, თბ., 1983.
4. https://www.orthodoxy.ge/samartali/samartali/3-6-7.htm ნანახია 2024 წლის 22.10
5. ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, გამომცემლობა ,,მეცნიერება'', თბ, 1978
6. https://www.georoyal.ge/?m=1000&id=1562 ნანახია 2024 წლის 11.1
7. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90 ნანახია 2024 წლის 11.1

სტატია გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში **,,თემიდა''**- 2024 N20(22)

რა აქტივობები შეიძლება შევთავაზოთ მოსწავლეებს წინამდებარე დამატებითი მასალიდან გამომდინარე ისე , რომ აქტივობები იყოს მრავალფეროვანი და სხვადასხვა უნარების განვითარებაზე მორგებული

1. ანალიტიკური დავალებები (კრიტიკული აზროვნების განვითარება)

დავალება 1:
შეადარე დავით აღმაშენებლის ძეგლისწერის რომელიმე მუხლი თანამედროვე ადამიანის უფლებების საერთაშორისო დოკუმენტს (მაგ., **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ბავშვთა უფლებების კონვენცია, ევროპული კონვენცია**).
მაგალითი:
პირველ მუხლში ნათქვამია უღირსი მღვდელმთავრების განკვეთის შესახებ. როგორ შეესაბამება ეს *თანამდებობის პირის ეთიკურ სტანდარტს* დღეს?

დავალება 2:
გაანალიზე, რომელი მუხლი უფრო მეტად ზრუნავდა ქალთა უფლებებზე და რატომ. როგორ შეგვიძლია ეს მუხლი თანამედროვე თანასწორობის ჭრილში დავინახოთ?

2. შემოქმედებითი დავალებები (წარმოსახვის, ნარატივის უნარის განვითარება)

დავალება 3:
წარმოიდგინე, რომ ხარ სასულიერო პირი დავით აღმაშენებლის ეპოქაში. დაწერე

დღიური, როგორ მიიღო შენმა საზოგადოებამ რუის-ურბნისის კრების რომელიმე კონკრეტული მუხლი.

დავალება 4:
შექმენი კომიქსი ან მოკლე ილუსტრირებული ისტორია რომელიმე მუხლზე, სადაც საყურადღებოა ადამიანის უფლების დაცვა.

3. დებატები(არგუმენტაციის უნარის განვითარება)

დავალება 5:
დებატები თემაზე:
„უნდა არსებობდეს თუ არა ასაკობრივი ცენზი სამღვდელო კარიერისთვის?“
თემა ეხება მეორე მუხლს.
მოსწავლეები იყოფიან ორ ჯგუფად – მომხრედ და მოწინააღმდეგედ.

დავალება 6:
დავით აღმაშენებლის მიერ ქრთამის აკრძალვა: მეფის ძალაუფლების გაზრდა თუ ეკლესიის გაჯანსაღება?
მიზანი: მოსწავლემ არგუმენტირებულად წარმოადგინოს თავისი პოზიცია და მოახდინოს ანალიზი.

4. პრაქტიკული დავალებები (მოქალაქეობრივი და კვლევითი კომპეტენციები)

დავალება 7:
დამუშავე მცირე კვლევა თემაზე:
„დავით აღმაშენებლის ხედვა ეკლესიის როლზე ადამიანის უფლებების დაცვაში – ისტორიული და თანამედროვე პარალელები.“

5. როლური თამაშები

დავალება 8:
გააცოცხლე მეშვიდე მუხლი (ქორწინების ასაკი) :

ერთი მოსწავლე ფეოდალის როლში

მეორე მოსწავლე – ახალგაზრდა გოგონა

მესამე მოსწავლე – დავით აღმაშენებელი
მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ თავიანთი პერსპექტივიდან, როგორ ესახებათ ეს ცვლილება.

6. ინტერდისციპლინური დავალებები (ისტორია + მოქალაქეობა + ლიტერატურა)

დავალება 9:
დაიყავით ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს მიეცით ერთ-ერთი ევროპელი მეფე (ლუი VI, ჰენრი II).
შეადარეთ დავითის კანონმდებლობა იმდროინდელ ევროპულ სისტემას.

7.ვიზუალური, გრაფიკული წარმოსახვა

დავალება 10:
დაგეგმე პოსტერ-გამოფენა თემაზე:
„ადამიანის უფლებები შუა საუკუნეებში: დავით აღმაშენებლის მოდელი“
თითოეული პოსტერი ასახავს ერთ მუხლს და მის კავშირს თანამედროვე უფლებებთან.

დასკვნა:

წინამდებარე მასალა პედაგოგმა ძალიან აქტიურად შეიძლება გამოიყენოს როგორც ისტორიის , ასევე მოქალაქეობის გაკვეთილებზე. სწორად მიწოდებული დავალებებით მასწავლებელი ხელს შეუწყობს:

1.მოსწავლეებში ღირებულებებზე დაფუძნებული აზროვნების განვითარებას,

2.ისტორიული პროცესების კრიტიკულად გაანალიზებას,

3. ადამიანის უფლებების კონცეფციის უკეთ გააზრებას.

თორღვა პანკელი- კოხტასთავის შეთქმულების გმირი თუ ქართული სახელმწიფოს მოღალატე!?

ნანა ციხისთავი-ახალი უმაღლესი სასწავლებელი ნიუუნის აფილირებული პროფესორი

ამონარიდი სტატიიდან:,, თორღვა პანკელი-ქართული სახელმწიფოს გმირი თუ მოღალატე“

ლეგენდები ისტორიაში და მათი მნიშვნელობა

პანკისელთა ზეპირსიტყვიერებაში მეტად პოპულარულია ანდრეძი თორღვას ციხის განძისა და მისი მცველი დემონის შესახებ. თორღვას ციხის თქმულება მსოფლიო ეპოსოსათვის კარგად ცნობილ განძისა და მისი მცველი დემონის საინტერესო სიუჟეტს იმეორებს. გარდა ამისა , მას საგულისხმო ანალოგიები მოეძებნება ქართველთა პირველი მეფის--ფარნავაზის მითოსურ თავგადასავალთან.

რას მოვითხრობს მითი განძის შესახებ? ერთი მონადირე მთელი დღე პანკისის ტყეებში დაეხეტებოდა .ხელმოცარული შინ დაბრუნებას აპირებდა ,როცა საოცრად

ლამაზმა ირემმა წინ გადაურბინა. მონადირემ სტყორცნა ისარი და დაჭრა ,მაგრამ დაჭრილი ცხოველი გაიქცა და მონადირეც მის კვალს გაჰყვა . ირემი თორღვას ციხე-გალავანში შევიდა და უეცრად კვალიც დაიკარგა. მონადირე ძველი გვირაბით ქვემოთ ჩასულა და იქ ,სარდაფის მსგავს ბნელ ოთახში მოხვედრილა . დაჭრილი ნადირი ვერ იპოვა თურმე . სიბნელეში რაღაც საგანს შეეჯახა , დააკვირდა და განძი აღმოაჩინა --სულ ოქროს ნივთები. დასტაცა ხელი და რამდენიმე ბღუჯა გუდაში ჩაიყარა ,მაგრამ უცებ გველი თუ საშინელი გარეგნობის გოლიათი გამოსრიალდა და თავზე წამოადგა. მონადირეს შეეშინდა და გასასვლელისკენ გაიქცა . იქ კი უფრო დიდი განსაცდელი ელოდა--რაღაც არწივის მაგვარი გველი თუ ფრინველი მისკენ სისინით გამოექანა . კაცმა გუდა დააგდო , პირჯვარი გადაიწერა და ღმერთის ხსენების შემდეგ გასავლელიც გამოჩნდა . როგორც კი ზემოთ ამოაღწია მონადირემ , ჩასასვლელიც გაქრა . ამის გამო არის გამოთქმა -- ,,თუ განძი თვითონ არ გეძლევის, არც შენ შეგერგება , არც შენ გვარსო ''.

<u>თორღვას ციხე და მისი განძი, ანუ თორღვას ციხის სტრატეგიული მდებარეობის დაუფლება ძალიან დიდი გამოწვევა ყოფილა ისტორიული პირებისათვის და თორღვას ციხეც ადვილად ხელში ჩასგდები არ იყო. შესაბამისად, თორღვას უეცარი და იდუმალი სიკვდილიც იწვევს გარკვეულ აზრთა სხვაობას.</u>

თორღვა - განთქმული <u>გმირია ასევე</u> ხევსურულ ზეპირსიტყვიერებაში. მტრისგან დაუმარცხებელი ყოფილა თორღვა. მის მიუდგომელ ციხეს დღესაც უჩვენებენ <u>ხევსურეთში</u>, სოფელ მუცოში. თორღვას ისეთი <u>ჯაჭვის პერანგი</u> სცმია, რომ ტყვიას არ იკარებდა. თავის შეხების დროს პერანგის მთელი ჯაჭვი თურმე ერთ ადგილზე შეიხვეტებოდა და გამოსროლილ ტყვიას უკან აბრუნებდა. ეს პერანგი ძმობილის ნაჩუქარი ყოფილა და თორღვა მას არც დღისით, არც ღამით არ იშორებდა. ვინ იყო ეს ძმობილი და როგორ აჩუქა მან თორღვას ეს სასწაულებრივი პერანგი?

ეს ასე მომხდარა. ერთხელ თორღვა სანადიროდ ყოფილა კლდეებში. უცებ მის თავზე თეთრ ყორანს გადაუფრენია და კლდის ნაპრალში გაუჩინარებულა. ამ უცხო სახილველით გაოცებული თორღვა მიჰყოლია მის კვალს და ერთ ადგილზე ყინულში ჩავარდნილა. აქ <u>გველეშაპი</u> წოლილა და მას დასცემია თავზე. გველეშაპს შესცოდებია უმწეო გმირი და სიცივითა და შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, ამოიღებდა თვალს და ალოკინებდა, აძღობდა და ათბობდა კიდეც. ბოლოს, დაძმობილდნენ თორღვა და გველეშაპი, და საჩუქრად თავის ძმობილს, როგორც ძმობილობის წესი მოითხოვს, ის განთქმული ჯაჭვის პერანგი მისცა.

ვიდრე თორღვას ეს ჯაჭვის პერანგი თან ჰქონდა, მისი მძლეველი არავინ იყო. მაგრამ საკმარისი იყო, პერანგი დაეკარგა, უსუსურ ადამიანსაც შეეძლო მისი მორევა.

ეს ასე მოხდა. ერთხელ თორღვა მდინარეში ჩავიდა საბანაოდ, ჯაჭვის პერანგი კი ნაპირზე დატოვა. უპატრონოდ დატოვებულმა ჯაჭვმა იცურა, იცურა და მდინარეში შევიდა. წაიღო ჯაჭვი წყალმა და მას შემდეგ თორღვას იგი არ უნახავს.

იხელთა დრო მისმა მტერმა, როგორც ამბობენ, შვიდი წლის ნაავადარმა ჩონთამ, და ჭვარტლიანი ისრით განგმირა უპერანგო თორღვა.**5**

4.https://www.facebook.com/941232199317810/photos/

5.http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/თორღვა;მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის (ქართული მითოლოგია);

ლეგენდა ფარნავაზის შესახებ

https://intermedia.ge/სტატია/16308-ლეგენდა-ფარნავაზის-შესახებ/95/

მაშინ, როდესაც ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში შემოვიდა, მან მოკლა, მცხეთის მამასახლისი და ქვეყნის მმართველად თავიაანთი მმართველი აზონი დატოვა.აზონი მკაცრი მმართველი აღმოჩნდა.მისი ბრძანებით მრავალი ციხე დაინგრა.
გავიდა ხანი.
გამოჩნდა მცხეთის მამასახლისისი ძმიშვილი ფარნავაზი, რომელიც 3 წლის იყო, როდესაც შემოსევების გამო კავკასიონის მთებში იყო გადამალული.ახლა, ის უკვე სრულწლოვანი და დავაჟკაცებული დაბრუნდა მცხეთაში.ფარნავაზი შესანიშნავი მოისარი და მონადირე იყო.
ერთხელ, როდესაც ირემი მოკლა, შემოუღამდა, თან გაუავდრდა.თავი ერთ გამოქვაბულს შეაფარა, სადაც დიდძალ განძს მიაგნო.ამ განძს, ის და მისი ოჯახის წევრები 5 დღის განმავლობაში ეზიდებოდნენ.

ნაპოვნი სიმდიდრით, მათ შეიძინეს საომარი იარაღი, დაიქირავეს კავკასიის მთიელები და დამპყრობლები დაამრცხეს.

წაიკითხეთ ლეგენდები და უპასუხეთ შეკითხვებს

1. იპოვეთ ამ ორ ლეგენდას შორის საერთო და განმასხვავებელი;

2. საქართველოს ისტორიის რომელ პერიოდებს ასახავენ ეს ლეგენდები? რა გამოწვევები იყო ფარნავაზის მეფობამდე და რა გამოწვევები ჰქონდა თორღვა პანკელს?

3. შეადარეთ ეს ორი ისტორიული ფიგურა ერთმანეთს, ერთი საქართველოს ისტორიაში გმირად და ლეგენდარულ ფიგურად არის შერაცხული, ხოლო მეორე გმირადაც და მოღალატედაც. რამდენად შესაძლებელია ისტორიაში გმირიც იყო და მოღალატეც?

4. დაწერეთ ფარნავაზისა და თორღვა პანკელის შედარებითი ანალიზი.

5. რას გულისხმობს გამოთქმა: ,,თუ განძი თვითონ არ გეძლევის ,არც შენ შეგერგება , არც შენ გვარსო '' თორღვას შემთხვევაში, ფარნავაზის შემთხვევაში?

6. რამდენად რეალისტურია ზემოთ მოცემული ლეგენდები? რამდენად შეიცავენ სიმართლისმარცვალს?